ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №4

27 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, მარიამ ზაქარიაშვილი, ნათია მოდებაძე, სოფიო ჯაფარიძე და ნინო კვიტაიშვილი.

მოწვეული პირები:

1. ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. მაკა ნასრაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ლევან მიქავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის **თავმჯდომარე** კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (12-032134435-03; 10.12.2021)

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.

როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ასიგნებები შემდეგ პრიორიტეტებზე გადანაწილდება: განათლება – 208 486,9 ათასი ლარი, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (175 094,0 ათასი ლარი)

გაზრდილია 33 392,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 800,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 800,0 ათასი ლარით; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 48 805,5 ათასი ლარი, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (47 355,8 ათასი ლარი) გაზრდილია 1 449,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები 5 000,0 ათასი ლარით იზრდება.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ლევან მიქავას, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (№04-03/143397) გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501,2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები (პარკირების მართვის უფლების გადაცემიდან მისაღები შემოსავლები) 30 000,0 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000,0 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (43,500.0 ათასი ლარი) გამოყოფილი სესხის მომსახურების ფარგლებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარად მისაღები შემოსავლები – 3,500,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე. გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის – „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა – აღდგენა – 262,892.5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება – 259 782,6 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 167 317,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 1 845,0 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 41 115,2 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 176 777,0 ათასი ლარი; განათლება – 208 486,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 48 805,5 ათასი ლარი; 2 საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 5 217,8 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 133 178,9 ათასი ლარი. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური

გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 230 318,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 020 159,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 210 158,9 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 85 501,2 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 100 513,6 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 501,2 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: – დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 547 869,4 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 80 513,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 501,2 ათასი ლარით მეტია). – საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 14 000,0 ათასი ლარით); – ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 1 000,0 ათასი ლარით); – მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი. გრანტები 269 005,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 13 068,9 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 50 000,0 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: – მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის); – სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 50 000,0 ათასი ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და გვირაბების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლება; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; ვაკის პარკის კასკადისა და შადრევნების და ზღვის უბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები და სხვა). 3 – სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 43 500,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 5 500,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 3 750,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების III ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 11 250.0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 17 500,0 ათასი ლარი, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახდელად – 3 500,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 2 000,0). სხვა შემოსავლები 203 443,8 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ

ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 46 576,4 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 30 000,0 ათასი ლარით მეტია). მათ შორის: – შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი; – სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; – მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 48 000,0 ათასი ლარი; – სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 50 000,0 ათასი ლარი; – სხვადასხვა შემოსავლები – 49 443,8 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია – 982 943,0 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 417,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 161 383,4 ათასი ლარი, პროცენტი 11 079,9 ათასი ლარი, სუბსიდიები 321 742,2 ათასი ლარი, გრანტები 485,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 829.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 232 005,2 ათასი ლარით. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 247 375,2 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს – 226 844,6 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 301 844,6 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000,0 ათასი ლარით (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან – 5 000,0 ათასი ლარი). ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100,0) ათასი ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას. 4 ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (20 630,6) ათასი ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2022 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 20 530,6 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 305 418,2 ათას ლარს, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან (1 199 917,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით, მათ შორის: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა – აღდგენა – 262 892,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (174 263,8 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 88 628,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 38 158,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 2 500,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 9 500,0 ათასი ლარით (მათ შორის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადელად 3 500,0 ათასი ლარი თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 29 729,3 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება – 259 782,6 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (194 636,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 65 146,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 23 720,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 14 000,0 ათასი ლარით, გარე განათების

ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 6 000,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 3 720,0 ათასი ლარით; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 167 317,1 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (148 944,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 18 373,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 28 500,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 28 500,0 ათასი ლარით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 1 845.0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 164,4 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 2 319,4 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 41 115.2 ათასი ლარი, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 157,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 5 1 957,9 ათასი ლარით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 000,0 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 176 777,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (154 136,0 ათასი ლარი) გაზრდილია 22 641,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 290,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 290,0 ათასი ლარით; განათლება – 208 486,9 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (175 094,0 ათასი ლარი) გაზრდილია 33 392,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 800,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 800,0 ათასი ლარით; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 48 805,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (47 355,8 ათასი ლარი) გაზრდილია 1 449,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 5 217,8 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 402,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 815,5 ათასი ლარით; ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 133 178,9 ათასი ლარით. რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (108 148,4 ათასი ლარი) გაზრდილია 25 030,5 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 4 052,6 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 3 000,0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 141,9 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 620,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 200,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 11,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 11,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 5,5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 5,5 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 11,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 8,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 8,2 ათასი

ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 13,8 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 5,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 11,0 ათასი ლარი. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ქ. თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები – 200,0 ათასი ლარით. 6 გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ (დეტალური ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგვლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ), დანართი 2 – კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 – პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 – სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება და აღნიშნული პოლიტიკის წარმოებამ ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. ასევე, წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვერსიაში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების, ფრაქციების და დამოუკიდებელი წევრების გამოთქმული შენიშვნების/რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია. გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა): ბიუჯეტის პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს, შესაბამის პასუხისმგებელ საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამულ კოდში (იხ. დანართი №1).

გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის – „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა" (კოდი 07 01 02) – 173 461, 8 ათასი ლარი;
- „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01) – 142,2 ათასი ლარი;
- „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა" (კოდი 07 03 03) – 3 503,5 ათასი ლარი;
- „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) – 200, 000 ათასი ლარი;

- „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 220,0 ათასი ლარი;
- „იურიდიული კლინიკა“ (კოდი 07 05 02) – 676,5 ათასი ლარი;
- „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) – 2 603, 0 ათასი ლარი;
- „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“ (კოდი 07 06 01) – 2 987,3 ათასი ლარი.
- „თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01) – 2 970,1 ათასი ლარი. მათ შორის, „ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი" (კოდი 08 01 01) – 694,8 ათასი ლარი, „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი" (08 01 02) – 427,8 ათასი ლარი, „თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი" (08 01 03) – 1 000,0 ათასი ლარი, „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (08 01 05) – 506,7 ათასი ლარი, „სამეფო უბნის თეატრი" (08 01 08) – 340,8 ათასი ლარი;
- „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 02) – 4 696,8 ათასი ლარი;
- „ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“ (კოდი 08 03 10) – 164,6 ათასი ლარი;
- „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 12) – 3 550,3 ათასი ლარი;
- „ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“ (კოდი 08 04) – 2161,2 ათასი ლარი. მათ შორის, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 638,9 ათასი ლარი, „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“ (კოდი 08 04 03) – 335,6 ათასი ლარი, „კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04) – 1 186,7 ათასი ლარი;
- „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) – 4 100,0 ათასი ლარი;
- „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09) – 1 100,0 ათასი ლარი;
- „თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“ (კოდი 08 12) – 473,6 ათასი ლარი;
- „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13) – 120,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

კახაბერ ლაბუჩიძემ, ნინო კვიტაიშვილმა, თინათინ ნიბლოშვილმა, სოფიო ჯაფარიძემ, ვახტანგ სურგულაძემ, ირაკლი გვილავამ.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, კომისიის წევრების მხრიდან დაისვა რამდენიმე კითხვა, რომელიც შეეხებოდა განათლების ჰაბის ხუთკომპონენტიან პროექტს, რომელიც ნინო კვიტაიშვილის განმარტებით, თბილისის მერის დაპირებას წარმოადგენდა, რაზედ პასუხად ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ დიდ დიღომში, 9000 კვ/მეტრზე შენდება მულტიფუნქციური ცენტრი, რომელიც მოიცავს სპორტის კომპლექსს, განათლების კულტურულ-სახელოვნებო სივრცეებს. სამშენებლო პროექტი 3 მაღალსართულიან მულტიფუნქციურ კომპლექსს მოიცავს, სადაც განთავსდება ფიტნეს სატრენაჟორო დარბაზები, კალათბურთის, ფეხბურთის სივრცეები, ასევე საკონფერენციო, საბიბლიოთეკო და სახელოვნებო სწავლების სივრცეები. რაც მთავარია, ყველა ასაკის

სეგმენტისთვის იქმნება სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის.

საკრებულოს წევრმა ვახტანგ სურგულაძემ იკითხა დასახელებულ სერვისებთან წვდომის შესაძლებლობაზე, თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ მერიას აქვს სოციალურად დაუცველთათვის სპეციალური პროგრამა, რომლით მოსარგებლე პირებს სრულიად უფასოდ შეეძლებათ ამ სერვისების მიღება. ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტს აქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმული ადამიანებისთვის უფასო სერვისების დანერგვას. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ნინო კვიტაიშვილის მხრიდან ასევე დაისვა კითხვა დიღმის ჭალებთან მიმართებით, სადაც უნდა გახსნილიყო საგანმანათლებლო დაწესებულება, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ აღნიშნული დაწესებულება არ წარმოადგენს მუნიციპალურ ბალანსზე არსებულ სივრცეს.

კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ დამატებით აღნიშნა, რომ ზურაბ ჩიკვილაძესთან ერთად 2 თვის წინ იმყოფებოდა ზემოხსენებულ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს კერძო საკუთრებაშია და მისი გამოსყიდვა, სახელმწიფოს მხრიდან, კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული. პანდემიის პერიოდში, უპირველეს პრიორიტეტად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა დაისახა, რაზეც მთავრობამ და მერიამ კოორდინირებულად ითანამშრომლა. პრობლემები, რომელიც გადაუჭრელია და პანდემიურ მიზეზთა ხელშეშლის გამო ვერ განხორციელდა, კვლავ დღის წესრიგში რჩება და ამის მაგალითია ფუნიკულიორზე ასასვლელი საბაგირო გზის რეაბილიტაცია. თანხების უდიდესი ნაწილი სოციალურ სფეროს დაეთმო, ამიტომ დარჩა ჯერ განუხორციელებელი სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს პროექტი, ასევე თქვენს მიერ ხსენებული დიღმის ჭალები. ნინო კვიტაიშვილმა აღნიშნულზე პასუხად განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტს სწორედ საგანმანათლებლო სფერო წარმოადგენს, რადგან ქვეყნის მომავალი წარმოუდგენელია განათლების ხელშეწყობის გარეშე.

კომისიის წევრმა, ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერი კახა კალაძე სწორედ ზემოხსენებულ საკითხთა პრიორიტეტად გახდომას ცდილობს. სახელმწიფომ დიდი ოდენობის თანხის აკუმულირება შეძლო ჯანდაცვის სერვისების გამართული ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, ფინანსური სუბსიდირების პირობებში, აუცილებლად განხორციელდება ყველა პროგრამა, უპირველესად კი, მთვარი და პრიორიტეტული საკითხები. ნინო კვიტაიშვილმა ამის საპასუხოდ კვლავ აღნიშნა, რომ ორი სფეროა პრიორიტეტული: – ჯანდაცვა და განათლება. საგანმანათლებლო პროექტების გადავადებები იწვევს თაობების დაკარგვას, რის შედეგებსაც დღესდღეობით ვიმკით.

კომისიის წევრმა, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ კოვიდ-პანდემიის პერიოდში, ბოლო 1 წლის მანძილზე, თავმჯდომარეობდა განათლებისა და კულტურის კომისიას და დაზუსტებით შეუძლია იმის აღნიშვნა, რომ მუნიციპალიტეტი, ამ კრიზისულ პერიოდშიც, მუდმივად ახორციელებდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური პროექტების მხარდაჭერასა და დაფინანსებას. ონლაინ-რეჟიმში ხდებოდა წარჩინებულ სტუდენტთა დაფინანსება, ასევე სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა, რომლის თანხებსაც მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს. ის პროექტები, რომლებზეც აპელირებს ნინო კვიტაიშვილი, რასაკვირველია ვერ განხორციელდა ამ ორ წელიწადში, რამდენადაც

საკრებულოს წევრები ნობათებს ვასაწყობებდით და სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ ოჯახებს ვეხმარებოდით. სამწუხაროდ, ასეთ გარდამტეხ და მნიშვნელოვან მომენტებში ოპოზიციური სპექტრი არ მონაწილეობდა მსგავს სოციალურ პროექტებში. თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, ჩვენს კოლეგებს ჰქონდათ უზარმაზარი პასუხისმგებლობა აღებული დედაქალაქის წინაშე. ამ მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის წევრი სოფიო ჯაფარიძე, რომლის განცხადებით, ამ რთულ დროს, თუ ვინმე მყისიერად რეაგირებდა მოქალაქეთა პრობლემებზე, ეს იყო მერიის საქალაქო და ჯანდაცვის სამსახური, რომელმაც მრავალ ადამიანს აღმოუჩინა დახმარება.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს მასში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები. ამასთანავე, კომისიის წევრების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებისას აქცენტი გაკეთდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობასა და რეფორმების შეუფერხებლად გაგრძელებაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, დედაქალაქის საბიუჯეტო პოლიტიკისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება განათლებისა და კულტურის სფეროების მხარდაჭერა, რამდენადაც, კრიზისულმა პერიოდმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა განათლების, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც პანდემიით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, 2022 წელსაც საჭიროებს სათანადო გარანტიების შენარჩუნებას.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (წერილი №12-032134435-03; 10.12.2021) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

მომხრე ----------	6
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ხმათა უმრავლესობით დაადგინა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ 2021 წლის 27 დეკემბერს, კომისიის სხდომაზე განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი: № 12-032134435-03; 10.12.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2022** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი: № **12-032134435-03; 10.12.2021**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურების მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის
კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (წერილი №12-032135419-03; 20.12.2021) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ანალიზი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი (წერილი №12-032134435-03; 10.12.2021) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ დოკუმენტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით.

შემოსულობები

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
1	2	3	4
შემოსულობები	**930 239,6**	**1 201 097,6**	**1 305 418,2**
შემოსავლები	868 463,3	1 132 243,4	1 230 318,2
არაფინანსური აქტივების კლება	61 678,4	68 711,0	75 000,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	94,5	143,2	100,0
ვალდებულებების ზრდა	3,3	-	-
გადასახდელები	**1 080 555,4**	**1 270 531,8**	**1 305 418,2**
ხარჯები	825 205,1	967 254,9	982 943,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	239 300,9	288 398,8	301 844,6
ვალდებულებების კლება	16 049,5	14 878,2	20 630,6
ნაშთის ცვლილება	**-150 315,8**	**-69 434,2**	**0**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 230 318,2 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 020 159,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 210 158,9 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 85 501,2 ათასი ლარით. მათ შორის:

გადასახადები 757 869,4 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 100 513,6 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 501,2 ათასი ლარით მეტია). აქედან:

– დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 547 869,4 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 80 513,6 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 501,2 ათასი ლარით მეტია).

– საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 14 000,0 ათასი ლარით);

– ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 1 000,0 ათასი ლარით);

– მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 269 005,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 13 068,9 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 50 000,0 ათასი ლარით მეტია). მათ შორის:

– მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 225 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 50 000,0 ათასი ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და გვირაბების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა/ რეაბილიტაციის სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლება; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; ვაკის პარკის კასკადისა და შადრევნების და ზღვის უბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები და სხვა).

– სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 500,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 3 750,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების III ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 11 250,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 17 500,0 ათასი ლარი, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადელად – 3 500,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად – 2 000,0).

სხვა შემოსავლები 203 443,8 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 46 576,4 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 30 000,0 ათასი ლარით მეტია). მათ შორის:

– შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი;

– სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი;

– მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 48 000,0 ათასი ლარი;

– სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 50 000,0 ათასი ლარი;

– სხვადასხვა შემოსავლები – 49 443,8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები – ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია – 982 943,0 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 417,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 161 383,4 ათასი ლარი, პროცენტი 11 079,9 ათასი ლარი, სუბსიდიები 321 742,2 ათასი ლარი, გრანტები 485,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 829.9 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 232 005,2 ათასი ლარით.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 247 375,2 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს – 226 844,6 ათას ლარს, მათ შორის:

– არაფინანსური აქტივების ზრდა – 301 844,6 ათასი ლარი.

– არაფინანსური აქტივების კლება – 75 000,0 ათასი ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000,0 ათასი ლარით (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან – 5 000,0 ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100,0) ათასი ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას.

ვალდებულებების ცვლილება

ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (20 630,6) ათასი ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2022 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 20 530,6 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 305 418,2 ათას ლარს, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან (1 199 917,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით, მათ შორის:

01.00 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 262 892,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (174 263,8 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 88 628,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 38 158,5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 2 500,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 9 500,0 ათასი ლარით (მათ შორის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადელად 3 500,0 ათასი ლარი თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 29 729,3 ათასი ლარით;

02.00 ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება – 259 782,6 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (194 636,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 65 146,1 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 23 720,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 14 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 6 000,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 3 720,0 ათასი ლარით;

03.00 ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 167 317,1 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (148 944,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 18 373,0 ათასი

ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 28 500,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 28 500,0 ათასი ლარით;

04.00 ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845.0 ათასი ლარი. 1 845.0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 164,4 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 2 319,4 ათასი ლარით;

05.00 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115.2 ათასი ლარი, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (39 157,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 1 957,9 ათასი ლარით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 000,0 ათასი ლარით;

06.00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (154 136,0 ათასი ლარი) გაზრდილია 22 641,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 290,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 290,0 ათასი ლარით;

07.00 განათლება - 208 486,9 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (175 094,0 ათასი ლარი) გაზრდილია 33 392,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 800,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 800,0 ათასი ლარით;

08.00 კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 48 805,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (47 355,8 ათასი ლარი) გაზრდილია 1 449,7 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში – 5 000,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები იზრდება – 5 000,0 ათასი ლარით;

09.00 საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 5 217,8 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (4 402,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 815,5 ათასი ლარით.

10.00 ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 133 178,9 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (108 148,4 ათასი ლარი) გაზრდილია 25 030,5 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 4 052,6 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები იზრდება – 3 000,0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 141,9 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 620,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 200,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 11,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 11,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 5,5 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 5,5 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 11,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 8,2 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 8,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 13,8 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) –

5,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 11,0 ათასი ლარი. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში შიდა გადანაწილების ხარჯზე გაიზარდა ქ. თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები – 200,0 ათასი ლარით.

ანალიზი:

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით, კერძოდ: იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501,2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები (პარკირების მართვის უფლების გადაცემიდან მისაღები შემოსავლები) 30 000,0 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000,0 ათასი ლარით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ 2021 წლის 27 დეკემბერს, კომისიის სხდომაზე განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (წერილი: №12-032134435-03; 10.12.2021) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (წერილი: №12-032134435-03; 10.12.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურების მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნულ ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

შემსრულებელი: ირაკლი შამათავა
27.12.2021